ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების

კ ო ნ ც ე ფ ც ი ა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართო პროფილის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ხდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომელიც ასეთი სახელწოდებით 2005 წლის მაისიდან არსებობს. მაშინ ზოგადი ინფორმაციის სახით დეკლარირებული იყო: „ფაკულტეტი აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს. იგი ვალდებულია შეუქმნას სტუდენტებსა და ფაკულტეტის პერსონალს, საქართველოს სახელმწიფო განვითარების დონიდან გამომდინარე, სათანადო პირობები სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევებისათვის; უზრუნველყოს მეცნიერების შესაბამის დარგებში თანამედროვე სტანდარტებისა და მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, მუდმივად იზრუნოს სასწავლო და სამეცნიერო პირობების გაუმჯობესებაზე.“

ფაკულტეტის ჩამოყალიბებიდან გავიდა 15 წელი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი კარგი და მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით.

დღეისათვის არსებული რეალობიდან გამომდინარე, უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში ფაკულტეტის განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვიმუშაოთ შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. მეცნიერების ერთ-ერთი საუკეთესო გამოყენება განათლებაა, ამიტომ საჭიროა მეცნიერული კვლევების შედეგების სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირება და სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს შექმნა.

2. საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებათა ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელება, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა. რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზრდება ფაკულტეტის დიპლომის პრესტიჟი, რაც სამომავლოდ წარმოადგენს მყარ გარანტიას ნიჭიერი სტუდენტების ფაკულტეტზე მოზიდვის საქმეში.

3. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება უცხოური გამოცდილების გაზიარების ხარჯზე (მაგალითად, 2013-2015 წლებში დაწყებული ამერიკის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამები).

4. უნივერსიტეტში აფილირებული აკადემიური პერსონალის ზრდა.

5. ფაკულტეტზე მოქმედი საბავშვო უნივერსიტეტის სამიზნე ჯგუფების გაფართოება.

6. აკადემიური პერსონალის წახალისების უფრო დახვეწილი მექანიზმების შექმნა.

7. სტუდენტის განათლებისა და ახალგაზრდა მკვლევარების კვალიფიკაციის ამაღლება გაცვლითი პროგრამების უფრო მეტად წახალისებით. აგრეთვე, უნივერსიტეტის პროფესურის პირადი კონტაქტების საფუძველზე შექმნილი პროექტების რეალიზაცია და ახალი პროექტების მომზადება.

8. საფაკულტეტო კონფერენციებზე (რომელიც უკვე 8-ჯერ ჩატარდა) მოხსენების გაკეთება ბაკალავრიატისა და და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნის ერთ-ერთი პირველი კომპონენტი უნდა იყოს.

9. არსებული სამაგისტრო და სადოქტორო გაცვლითი პროგრამების გააქტიურება; ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დაგეგმვა - შექმნაში აკადემიური პერსონალის, ბაკალავრიატისა და და მაგისტრანტურის სტუდენტების მეტი ჩართულობა და მონაწილეობა.

10. უნივერსიტეტში ერთიანი სახელფასო ტარიფების მიღწევისათვის აქტიური ბრძოლა.

11. დეპარტამენტებისა და კათედრებისათვის უფრო მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება და მათი ფუნქციების გაზრდა.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი /მ. ამაღლობელი/